HTMC-HR-001-V.1.0

სამედიცინო პერსონალის უფლებამოსილებების და პრივილეგირების პოლიტიკა და პროცედურები

2024 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის სამედიცინო პერსონალის უფლებამოსილებების და პრივილეგირების პოლიტიკა და პროცედურები

მუხლი 1. მიზანი, ამოცანები და ზოგადი პროცედურები

1.1 წინამდებარე დოკუმენტის მიზანი არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის სამედიცინო პერსონალის უფლებამოსილებების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის და პრივილეგიების დადგენა, პაციენტთა უსაფრთხოების და სამედიცინო მომსახურების უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით;

1.2 უფლებამოსილებების და პრივილეგიების შემოწმების პროცესი ეხება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის სერტიფიცირებულ და სხვა ტიპის კლინიკურ პერსონალს, უპირატესად პაციენტთა მოვლის პროცესზე დაშვებამდე;

1.3 წინამდებარე დოკუმენტის მორე მუხლით განსაზღვრული კომისია, განიხილავს რა უფლებამოსილებების და პრივილეგიების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტებს, იღებს რეკომენდაციას ანდა გადაწყვეტილებას ვაკანსიაზე მისაღები კანდიდატის ან თანამშრომლის განაცხადის დაკმაყოფილების ანდა განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის/პრივილეგიების ჩამორთმევის თაობაზე;

1.4 უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის პერსონალის უფლებამოსილებების და პრივილეგიების კომისიას შეუძლია გამოიყენოს გადაწყვეტილების აპელაციის ან მაკორეგირებელი ქმედებების მის მიერ განსაზღვრული გეგმის ინიცირების პროცედურები;

1.5 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა ვალდებულია დადგენილი წესებით და პროცედურების შესაბამისად შეინახოს და დაიცვას კლინიკაში დასაქმებული პერსონალის ამ პოლიტიკით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

1.6 თანამშრომლების უფლებამოსილებების და პრივილეგიების თაობაზე გადაწყვეტილებების განახლება/გადახედვა უნდა მოხდეს ყოველ სამ წელში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - უფრო ადრე;

1.7 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი უფლებამოსილებების და პრივილეგიების აქტიური სტატუსი, პროფესიული განვითარების და სრულყოფის პროცესში მონაწილეობით.

მუხლი 2. სამედიცინო პერსონალის უფლებამოსილებების და პრივილეგირების ორგანო

2.7 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის სამედიცინო პერსონალის უფლებამოსილებების და პრივილეგირების განმსაზღვრელი ორგანო არის პერსონალის უფლებამოსილებების და პრივილეგიების კომისიის, რომლის შემადგენლობაში შედის კლინიკის კლინიკური და ადმინისტრაციული დირექტორები, ხარსისხის მართვის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და პროფილური დეპარტამენტ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი;

2.2 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის პერსონალის უფლებამოსილებების და პრივილეგიების კომისიის ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა კლინიკაში დასაქმებული სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალის უფლებამოსილებების და პროვოლეგიორების შესახებ გადაწყვეტილებებზე;

2.3 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის პერსონალის უფლებამოსილებების და პრივილეგირების კომისია ვალდებულია უზრუნველყოს კლინკის პერსონალის უფლებამოსილებების და პრივილეგიების შესახებ ინფორმაციის აქტუალური სტატუსის უზრუნველყოფა, დოკუმენტაციის დაცვა/გადახედვა/განახლება, წინამდებარე დოკუმენტის 1.6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად;

2.1 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის პერსონალის უფლებამოსილებების და პრივილეგირების კომისია ახორციელებს წინამდებარე დოკუმენტით დეკლარირებული პოლიტიკის და აღწერილი პროცედურების განხორციელების პროცესის მონიტორინგს.

მუხლი 3. განმარტებები

3.1 პირველად წყაროზე დაფუძნებული ვერიფიკაცია არის დასასქმებელი კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დიპლომის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის პირველწყაროს შემოწმება, განაცხადში აღწერილი კვალიფიკაციის ვერიფიკაციის მიზნით;

2.3.1 პრივილეგირების პროცესი მოიცავს შესაბამისი კომისიის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, პაციენტთა მართვისთვის (მათ შორის

სამედიცინო პროცედურების წარმოებისთვის) აუცილებელი უნარების და გამოცდილების შემოწმების/შეფასების მიზნით. კლინიკა დარწმუნებული უნდა იყოს დასაქმებულიი ექიმების კვალიფიკაციაში, რათა მინიმუმადე იქნას დაყვანილი პაციენტისთვის ზიანის მიყენების ალბათობა. შემოწმების პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს საექიმო სპეციალობების განსხვავებულ კომპეტენციებს, კლინიკის სერვისის სპექტრს და სამედიცინო სერვისის განხორციელებისთვის აუციელებელ სხვა აუცილებელ პირობებს.

სხვა სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალისთვის, პრივილეგირების პროცესი უნდა დასრულდეს სამუშაოზე მიღების შემდგომი საორიენტაციო პროცესის დასრულებისთანავე, შესაბამისი რგოლის ხელმძღვანელის წარდგინების და უფლებამოსილებების და პრივილეგიის კომისიის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 4. პოლიტიკის დანერგვის პროცედურები

4.1 **უფლებამოსილებების შემოწმება** - კლინიკის სამედიცინო პერსონალის უფლებამოსილებების პირველადი და პერიოდული შემოწმებები მოიცავს შემდეგს:

4.1.1 სპეციალისტის დიპლომ(ებ)ის, მოქმედი ლიცენზი(ებ)ის და სერტიფიკატ(ებ)ის პირველად წყაროზე დაფუძნებული ვერიფიკაცია, დადგენილი და ხელმისაწვდომის ვალიდური საშუალებების გამოყენებით;

4.1.2 უფლებამოსილებების პირველადი შემოწმებისთვის აუცილებელია შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ვალიდურობის შემოწმება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით;

4.1.3 ჯანმრთელობის ცნობა და ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

4.1.4 სიცოცხლის ბაზისური მხარდაჭერის (BLS) ტრენინგის გავლის დამადასტურებელი ვალიდური ცნობა;

4.1.5 კლინიკის უფლებამოსილებების და პრივილეგიების კომისიის წერილობითი დადებითი გადაწყვეტილების თარიღი წარმოადგენს უფლებამოსილების აღიარების/მინიჭების თარიღს.

4.2 **პრივილეგირება** - კლინიკის სამედიცინო პერსონალის პირველადი პრივილეგირება და პრივილეგირების პერიოდული განახლება მოიცავს შემდეგს:

4.2.1 პირველადი პრივილეგირება ანუ პროფესიული მოვალეობების შესაბამისობის დადგენა, კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტაციის (რეზიდენტურის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) შესწავლის გზით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით;

4.2.2 პრივილეგიების განახლება, უწყვეტი პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატების შესწავლის (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით) გზით და შესაბამისი ერთეულის/დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ შეფასებული ინდივიდუალური პორთფოლიოს გამოყენები;

4.2.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმუნიზაციის დამდასტურებელი ცნობები.

4.2.4 პერსონალის პრივილეგიების ცვლილებები, შეჩერება ან შეწყვეტა ხდება უფლებამოსილებების და პრივილეგიების კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე, კლინიკური კომპეტენტურობის შეფასების შემდგომ;

4.2.5 კლინიკის უფლებამოსილებების და პრივილეგიების კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების თარიღი წარმოადგენს პრივილეგიების მინიჭების, ცვლილების, შეჩერების ან შეწყვეტის თარიღს.

4.3 **პრივილეგიების რევიზიის და განახლების მოთხოვნები**

4.3.1 პრივილეგიების რევიზიის და განახლების მიზანი არის თანამდებობრივ კომპეტენციებთან შესაბამისობის მონიტორინგი;

4.3.2 კლინიკის თანამშრომელთა პრივილეგიების გადახედვა უნდა მოხდეს უფლებამოსილებების და პრივილეგიების კომისიის მიერ, სამ წელში ერთხელ მაინც;

4.3.3 გადახედვის პროცესი მოიცავს მიწურვადი ან ვადაგასული უფლებამოსილებების პირველადი წყაროების გადასინჯვას და სამწლიანი პერიოდის აქტივობების გადახედვას;

4.3.4 პრივილეგიების გაგრძელებაზე უარის თქმის ან შეზღუდვის შემთხვევაში, დასაქმებულს აქვს გასაჩივრების უფლება.

4.3.5 გასაჩივრების სურვილის შემთხვევაში, დასაქმებულმა წერილობით უნდა მიმართოს კლინიკის გენერალური დირექტორის ბრძანებით შექმნილ სააპელაციო კომისიას, პრივილეგიების შეზღუდვის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 დღეში;

4.3.6 სააპელაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილებებების და პრივილეგიების კომისიის გადაწყვეტილების შეცვლის ან ძალაში დატოვების თაობაზე;

4.3.7 სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

4.4 **დროებითი პრივილეგიები**

4.4.1 დროებითი პრივილეგია გაიცემა პაციენტის მართვის გადაუდებელი საჭიროებით განპირობებული მოთხოვნილების შემთხვევაში;
4.4.2 დროებითი პრივილეგია გაიცემა პაციენტის მართვის გადაუდებელი საჭიროების ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, გენერალური დირექტორის ბრძანებით, მხოლოდ მოქმედი ლიცენზიის შემოწმების საფუძველზე;
4.4.3 დროებითი პრივილეგია განმცხადებელს ენიჭება არა უმეტეს 120 დღის ხანგრძლივობით.

მუხლი 5. აპელაცია

5.1 პრივილეგიების გაგრძელებაზე უარის თქმის, შეზღუდვის ან შეჩერების შემთხვევაში, დასაქმებულმა წერილობით უნდა მიმართოს კლინიკის გენერალური დირექტორის ბრძანებით შექმნილ სააპელაციო კომისიას, პრივილეგიების შეზღუდვის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღეში;
5.2 სააპელაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილებების და პრივილეგიების კომისიის გადაწყვეტილების შეცვლის ან ძალაში დატოვების თაობაზე;
5.3 სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.